




საქართველოს მთავრობის განკარგულება

№288 2015 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

„სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის
2014 წლის 10 ნოემბრის №2041 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის
შესაბამისად, „სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის №2041 განკარგულებაში შეტანილ იქნეს
ცვლილება და „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, 2014
წელს განსახორციელებელი, ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს
2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის
საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების
ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“



ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან, ხოლო, 2015 წელს - „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან;“.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი